შუახევის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ფრიდონ ფუტკარაძეს

08.02.2019წ

ბატონო ფრიდონ,

წარმოგიდგენთ ინფორმაციას მ/წლის 23 იანვრის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

ოქმი N 1. 23.01.2019 წ.

დანართი: 5 (ხუთი) ფურცელი

პატივისცემით,

მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე: ბეჟან დიასამიძე

შუახევის მუნიციპალიტეტის მერია
შემოსული № 741/07
« 11 » 02 2019 წ.
ფურცელი 6 ძირითადი 1 დანართი 5

შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა

საბჭოს სხდომის

ოქმი N1

23.01. 2019 წელი

სხდომას 15 წევრიდან ესწრებოდნენ:

1. ბეჟან დიასამიძე;
2. ნათელა ბახტაძე;
3. შაქრო ხიმშიაშვილი;
4. მზია გოგაძე;
5. პაატა ქათამაძე;
6. ბადრი ქათამაძე;
7. შუშანა ფუტკარაძე;
8. მერაბ მაკარაძე;
9. გელა აბაშიძე;
10. თამაზ ტაკიძე;
11. ვასო ხიმშიაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ბატონი ფრიდონ ფუტკარაძე, მერის მოადგილეები: ბატონი ომარ ტაკიძე და ქალბატონი რუსუდან შავაძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. შუახევის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ
   / მომხს: ფრიდონ ფუტკარაძე - შუახევის მუნიციპალიტეტის მერი /

2. შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ანგარიში შუახევის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის მე-4 კვარტლის შესრულების შესახებ
   / ინფორმაციით: ანზორ ცეცხლაძე - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

3. მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის არჩევა

/მომხს. ბეჟან დიასამიძე, საბჭოს თავმჯდომარე /

4. მრჩეველთა საბჭოს მომდევნო პერიოდის სამუშაო გეგმის შესახებ;

/ მომხსენებელი: ბეჟან დიასამიძე /

მოისმინეს: 1. შუახევის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

/ მომხს: ფრიდონ ფუტკარაძე - შუახევის მუნიციპალიტეტის მერი /

ბატონმა ფრიდონ ფუტკარაძემ მრჩეველთა საბჭოს წარუდგინა ვრცელი და ამომწურავი ანგარიში 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ 2018 წელს შუახევის მუნიციპალიტეტის სინამდვილეში გაწეულია მეტად მნიშვნელოვანი საქმიანობა, როგორც პოლიტიკური, ისე სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული ხაზით. მნიშვნელოვნად გაიზარდა პრიორიტეტების მოცულობა, იზრდება საბიუჯეტო ხარჯვითი ნაწილი. თუ 2013 წლისთვის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი შეადგენდა 5419935 ლარს, 2018 წელს ეს მაჩვენებელი 10495386 ლარს შეადგენს, ზრდის მაჩვენებელი 93%-ია, გაზრდილია ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები. ნაცვლად 2013 წლის5.616.000 ლარისა 2018 წელს გვაქვს 9467180 ლარი. გაუმჯობესდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად ღონისძიებების დაგეგმვა, პრიორიტეტების განსაზღვრა.

2018 წლისთვის დაიგეგმა 202 ინფრასტრუქტურული ღონისძიება, რომელთაგან დასრულებულია 183. გარდამავალია 14 პროექტი, რომლებიც მიმდინარე წელს დასრულდება. ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებზე გამოყოფილი 7.412.350 ლარიდან ათვისებულია 6.535.126 ლარი, 88 %. მშენებლობა, რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია გამოყოფილი იყო 5.054.566 ლარი, შესრულებამ შეადგინა 4.213.456 ლარი, გეგმის 83,4%. საგზაო ინფრასტრუქტურის ხაზით გათვალისწინებული 1.026.484 ლარიდან ათვისებულია 1.015.940 ლარი, გეგმის 99,3%.

2018 წლის პრიორიტეტული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია წყალმომარაგების ღონისძიებები. წლის ბოლომდე დასრულდება სოფლების ფურტიო-ბუთურაული-ნენიის სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობა, რომლის საპროექტო ღირებულება 5 მილიონი ლარია, რითაც სამი სოფლის 442 ოჯახი გაიუმჯობესებს წყალმომარაგებას. ასევე მნიშვნელოვანია ჩანჩხალოსა და ნიგაზეულის წყალსადენების მშენებლობა, რომლის საპროექტო ღირებულება 3.247.998 ლარს შეადგენს და ორი სოფლის 345 ოჯახს გაუადვილებს ცხოვრებას. სასმელი წყლის გაუმჯობესების ღონისძიებები მომავალშიც გაგრძელდება, დაგეგმილია ტომაშეთის, მახალაკიძეების, წელათის, ბრილის, ჭალის, გომარდულის, თერნალის წყალსადენების მშენებლობა.

შუახევი აგრარული დანიშნულების მუნიციპალიტეტია და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ხორციელდება შეღავათიანი აგროკრედიტების პროგრამა, რომლის მოცულობამაც 133.000 ლარი შეადგინა. შუახევში ფუნქციონირებს 18 სარწყავი არხი, ელექტროფიცირებაზე დაიხარჯა 1 მილიონი ლარი, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას. ასევე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა განათლების, კულტურის, სპორტის განვითარებას. წლის განვლილ პერიოდში ჩატარდა 30 კულტურული და 78 სპორტული ღონისძიება. მერია დიდ დახმარებას უწევს სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს. 2018 წელს 12 ოჯახს სარეზერვო ფონდიდან გაეწია დახმარება 24.576 ლარის ოდენობით, 25.000 ლარიანი სახელმწიფო პროგრამით ისარგებლა 40 ოჯახმა.

წარმატებით ხორციელდება მთიანი აჭარის გაზიფიცირების პროექტი, მაქსიმალური კეთდება ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. წლის განმავლობაში მერიაში მიღებულია 2.700-ზე მეტი მოქალაქე, ჩატარდა 16 ღია მიღება, მიღებაზე განხილული იქნა 320 მოქალაქის თხოვნა.

მერია მიმდინარე წელს ბევრ მნიშვნელოვან პროექტს გეგმავს და უფრო მეტს გააკეთებს შუახევის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობისათვის.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებმა ვასო ხიმშიაშვილმა და პაატა ქათამაძემ დადებითად შეაფასეს 2018 წელს მერიის მიერ გაწეული სამუშაო, მადლობა გადაუხადეს მუნიციპალიტეტის მერს მოსახლეობის მიმართ გამოჩენილი ყურადღებისათვის და წარმატება უსურვეს შემდგომ საქმიანობაში.

მოისმინეს: 2. შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ანგარიში შუახევის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის მე-4 კვარტლის შესრულების შესახებ

/ ინფორმაციით: ანზორ ცეცხლაძე - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ანზორ ცეცხლაძემ საბჭოს წინაშე წარმოადგინა ანგარიში შუახევის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის მე-4 კვარტლის შესრულების შესახებ, რაც ფაქტობრივად მერიის მთლიანი ბიუჯეტის შესრულებას ნიშნავს. წარმოდგენილი ინფორმაციით, ნაშთი წლის დასაწყისისათვის წარმოადგენდა1659,859 ლარს, კორექტირებული ნაშთი 1664,159 ლარს, ხოლო ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის შეადგენს 652,049 ლარს. ინფორმაციაში კლასიფიკაციისა და კოდების მიხედვით იყო წარმოდგენილი ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების საკითხი, რომლის მიხედვითაც პროექტების უმრავლესობა შესრულებულია, ხოლო გარდამავალი პროექტები გრძელდება და წელს დამთავრდება. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია გეგმის მიხედვით 5054,566 ლარს შეადგენდა, შესრულება კი იყო 4213,453 ლარი, თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოებაზე გეგმის მიხედვით იყო 80,260 ლარი, შესრულება კი 79,701 ლარი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის გეგმის მიხედვით იყო 80,260 ლარი, შესრულება კი 79,701 ლარი. განათლების

ხელშეწყობისათვის გეგმის მიხედვით გათვალისწინებული იყო 1616,313 ლარი, შესრულებულია 1483,279 ლარით, ბაღების გაერთიანებისთვის გეგმის მიხედვით 1011,040 ლარი, შესრულება კი 1010,324 ლარით, კულტურული ღონისძიებებისათვის გეგმის მიხედვით 102,143 ლარი, შესრულება კი 97,843 ლარით, სპორტულ ღონისძიებებზე გეგმის მიხედვით 60,000 ლარი, შესრულება კი 49,158 ლარით, მოსახლეობის ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა გეგმის მიხედვით 1620,858 ლარი, შესრულება კი 1560,225 ლარი.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებმა შეაფასეს ბიუჯეტის შესრულების გეგმა, მოისმინეს სამომავლო პრიორიტეტებიც და თვითონაც დააყენეს საკითხები, რომელთა დადებითად გადაჭრა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის. შუახევის მერმა ბატონმა ფრიდონ ფუტკარაძემ ბრძანა, რომ ეს წინადადებები შეძლებისდაგვარად ასახული იქნება ახალი ბიუჯეტის კორექტირებისას.

დაადგინეს: შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ანგარიში შუახევის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის მე-4 კვარტლის შესრულების შესახებ დასამტკიცებლად გადაეცეს შუახევის საკრებულოს.

მოისმინეს: 3. მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ

/ მომხსენებელი: ბეჟან დიასამიძე/

მომხსენებელმა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შეახსენა, რომ, როგორც წესი, ყოველწლიურად ირჩევა საბჭოს თავმჯდომარე, ამიტომ წელსაც უნდა ავირჩიოთ ახალი თავმჯდომარე. გთხოვთ გამოთქვათ თქვენი მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

მრჩეველთა საბჭოს წევრმა მერაბ მაკარაძემ თავის გამოსვლაში შეაფასა საბჭოს ერთწლიანი ნაყოფიერი მუშაობის საკითხი, განსაკუთრებით ხაზი გაუსვა საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ბეჟან დიასამიძის აქტიურობას საბჭოს სხდომების ორგანიზებისა თუ მასზე გასატანი საკითხების პრიორიტეტულობის მხრივ, აგრეთვე აღინიშნა მისი ავტორიტეტის შესახებ საბჭოს წევრთა შორის. ამიტომაც მოუწოდა საბჭოს წევრებს დაეჭირათ მხარი ბეჟან დიასამიძის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე კვლავ არჩევის საკითხისთვის.

მრჩეველთა საბჭოს წევრმა თამაზ ტაკიძემ აღნიშნა, რომ სწორედ ბატონ ბეჟან დიასამიძის ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით საბჭოს წინაშე დადგა არაერთი საკითხი განსახილველად. მათ შორისაა სოფლის ამბულატორიების მედდებისათვის ხელფასების გაზრდის საკითხი და ელვაურის დაწყებითი სკოლის გარე ფასადის მოწყობა. ვფიქრობ, საქმისადმი პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება და

საზოგადოებაში არსებული ავტორიტეტი ის აუცილებელი პირობებია, რის გამოც მხარი უნდა დავუჭიროთ ბატონ ბეჟან დიასამიძის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარედ არჩევას.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი გამოთქმულ მოსაზრებას.

დაადგინეს : სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ბატონი ბეჟან დიასამიძე.

მოისმინეს: 4. მრჩეველთა საბჭოს მომდევნო პერიოდის სამუშაო გეგმის შესახებ;

/ მომხსენებელი: ბეჟან დიასამიძე/

დაადგინეს:

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მორიგი სხდომა ჩატარდეს მიმდინარე წლის თებერვლის თვეში.

სხდომის თავმჯდომარე: / ბეჟან დიასამიძე /

მდივანი : / მზია გოგაძე /